ალლაჰის შუამაალის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) პერიოდში ჩვენ გავცემდით ფიტრის მოწყალებას ყველას სახელზე დიდის თუ პატარას, თავისუფალის თუ მონის; ერთი სა' (დაახლ. 2-3 კგ) საკვები, ან ერთი სა' ხაჭო, ან ერთი სა' ხორბალი, ან ერთი სა' ფინიკი, ან ერთი სა' ქიშმიში

აბუ საიდ ალ-ხუდრის (ალლაჰი იყოს კმაყოფილი) გადმოცემის თანახმად, მან თქვა: «ალლაჰის შუამაალის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) პერიოდში ჩვენ გავცემდით ფიტრის მოწყალებას ყველას სახელზე დიდის თუ პატარას, თავისუფალის თუ მონის; ერთი სა' (დაახლ. 2-3 კგ) საკვები, ან ერთი სა' ხაჭო, ან ერთი სა' ხორბალი, ან ერთი სა' ფინიკი, ან ერთი სა' ქიშმიში, ჩვენ ასე გავცემდით (ფიტრის მოწყალებას), სანამ არ ჩამოვიდა მუავია იბნ აბი სუფიანი (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი) ჰაჯობაზე ან უმრაზე და მინბარიდან მიმართა ხალხს, მათგან ერთ-ერთი რაზეც მან ხალხს ესაუბრა იყო ის, რომ მან თქვა: "მე ვფიქრობ, რომ შამის ხორბლის ორი მუდდი(ორი პეშვი) უდრის ფინიკის ერთ სა' -ს ", და ადამიანებმა ასე დაიწყეს ფიტრის მოწყალების გაცემა. აბუ სა'იდმა თქვა: მაგრამ მე კიდევ ისევ ისე გავცემ, როგორც გავცემდი მანამდე, და ასე გავაგრძელებ სანამ ვიცოცხლებ».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მუსლიმები გასცემდნენ ფიტრის მოწყალებას შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მართლმორწმუნე ხალიფების და მათ შემდგომ პერიოდში; ყველა დიდის და პატარას სახელზე ერთი სა'ის ოდენობით. მათი საკვები იყო: ხორბალი, (ქიშმიში) გამომშრალი ყურძენი, (ხაჭო): გამხმარი აირანი და ფინიკი. ერთი სა'ის ოდენობა ოთხი გაშლილი პეშვია, ხოლო ერთი პეშვი არის ზრდასრული მამაკაცის ორივე გაშლილი ხელის ოდენობა. როდესაც თავის ხალიფობის პერიოდში მუავია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჩამოვიდა მედინაში, სადაც შამის ტერიტორიიდან შემოსული ხორბალი იყო გავრცელებული, მან ხუტბა გააკეთა და თქვა: მე ვფიქრობ, რომ შამის ხორბლის ორი მუდდი- ორი პეშვი(ნახევარი სა'ი) უდრის ფინიკის ერთ სა'ს, და ადამიანებმა ასე დაიწყეს ფიტრის მოწყალების გაცემა. აბუ სა'იდ ალ-ხუდრიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მაგრამ მე კიდევ ისევ ისე გავცემ, როგორც გავცემდი მანამდე, შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) პერიოდში, და ასე გავაგრძელებ, სანამ ვიცოცხლებ.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4454